

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

**გაითვალისწინეთ:**

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

# საგნობრივი ცოდნა

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში არ გვხვდება უბრალო დამატება?

ა) ერეკლეს თეკლესთვის წერილი მიუწერია;

ბ) წაუვლო აღვირს ხელი და ჭიშკრამდე გააცილა;

გ) ქალაქს გაემგზავრა დიდი იაკობი;

დ) თეთრი ნისლით შეიმოსა შორი მთები.

2. ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია სიტყვა ძმობა კონკრეტული არსებითი სახელი?

ა) მონასტრის ძმობა ზამთარში მხოლოდ ფიჩხით თბებოდა;

ბ) ვაჟას არ ეგონა, თუ გურამს მათი ძმობა საშუალებას მისცემდა, ასე სასტიკად მოქცეოდა გაქცეულს;

გ) ძმობა, ერთობა, სოლიდარობა – ერთ-ერთი პოპულარული ლოზუნგი იყო;

დ) ტყეში გაქცეულებმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს და დაიშალნენ.

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წყვილის შემთხვევაში არ აწარმოებს ზმნისწინის დართვა სრულ ასპექტს?

ა) აკეთებს - გააკეთებს

ბ) ხტის - მიხტის

გ) კერავს - შეკერავს

დ) ხატავს - დახატავს

4. წინადადების რა წევრად არ გვხვდება რიცხვითი სახელი ქვემოთ მოცემულ წინადადებაში?

*პირველმა მეორეს თვალით მიაჩნა მესამეზე.*

ა) ქვემდებარედ

ბ) ირიბ დამატებად

გ) პირდაპირ დამატებად

დ) უბრალო დამატებად

## 5. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია მართებული ?

- ა) ობიექტის რაგვარობის გასარკვევად უნდა დავაკვირდეთ მის ფორმას - თუ სახელობითშია, პირდაპირი იქნება, თუ მიცემითში დგას, კითხვის დასმით უნდა შევამოწმოთ, პირდაპირია თუ ირიბი, რადგან აღნიშნული ბრუნვა მათთვის საზიაროა;
- ბ) ობიექტის რაგვარობის გასარკვევად უნდა დავაკვირდეთ მის ფორმას - თუ მიცემითშია, პირდაპირი იქნება, თუ სახელობითში დგას, კითხვის დასმით უნდა შევამოწმოთ, პირდაპირია თუ ირიბი, რადგან აღნიშნული ბრუნვა მათთვის საზიაროა;
- გ) ობიექტის რაგვარობის გასარკვევად უნდა დავაკვირდეთ მის ფორმას - თუ სახელობითშია, პირდაპირი იქნება, თუ მიცემითში დგას, გამონაკლისის გარეშე ისიც პირდაპირი იქნება;
- დ) ობიექტის რაგვარობის გასარკვევად უნდა დავაკვირდეთ მის ფორმას - თუ მიცემითშია, შეიძლება იყოს ან პირდაპირი, ან ირიბი, ხოლო თუ სახელობითში დგას, გამონაკლისის გარეშე ირიბი ობიექტი იქნება.

6. დაადგინეთ შესაბამისობა საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ამ ნაწარმოებებში დასახელებულ ადგილებს / ადგილმდებარეობებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ადგილის ნომერი (გაითვალისწინეთ, ერთი პასუხი /ნომერი/ ზედმეტია).

ა) პეპი გრძელწინდა

ბ) გულივერის მოგზაურობა

გ) პატარა უფლისწული

დ) მერი პოპინსი

ე) სალამურას თავგადასავალი

1. ბეიკერ-სტრიტი

2. მფრინავი კუნძული

3. ალუბლების ქუჩა

4. ქონდარეთი

5. უდაბნო

6. მხიარულების კუნძული



7. დაადგინეთ შესაბამისობა მოცემულ წინადადებებსა და მათს ტიპებს შორის (სინტაქსური ფუნქციის მიხედვით).  
პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში წინადადების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ნომერი.  
გაითვალისწინეთ, ზოგიერთი პასუხი (წინადადების ტიპი) მეორდება.

ა) ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება.

ბ) შველმა ვერ გაარკვია, თუ რომელი მხრიდან ისმოდა ხმა.

გ) რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

დ) ის სურნელება, რომელსაც იასამანი აფრქვევს, მათრობელაა.

1. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

2. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

3. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

8. ქართულ ენაში შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე სიტყვა მეტყველების სხვადასხვა ნაწილის ფუნქციით იყოს წარმოდგენილი. დაწერეთ წინადადების ნიმუში, რომელშიც ქვემოთ მოცემული წინადადების სრულმნიშვნელოვანი, ფორმაუცვლელი სიტყვა თანდებულის ფუნქციას შეიძენს.

ირგვილივ ნაირფერი ყვავილები ყვარდა.

---

*(მაქსიმალური ქულა – 1)*

9. მოცემული რთული წინადადება აქციეთ მარტივ წინადადებად ისე, რომ შინაარსი არ შეიცვალოს. დეტალურად აღწერეთ მისი გარდაქმნის პროცესი გრამატიკული ტერმინების გამოყენებით.

ქვემოთ, ჭალის პირას რომ ხე დგას, პაპაჩემის დარგულია.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

10. ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რამდენიმეში დაშვებულია მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმა და განმარტეთ, რის ცოდნაა საჭირო, რომ ანალოგიური შეცდომა არ დავუშვათ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

1. ახალი ფრანგული ჟურნალის პირველ გვერდზე გამოჩენა, რა თქმა უნდა, წარმატებას უტოლდება.
2. ცხადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ საჩივარს, რაც კომისიის სამდივნოში შემოვიდა.
3. ექსპერტის დასკვნა, დამერწმუნეთ, უდავოდ საინტერესოა და მაღალი სანდოობითაც გამოირჩევა.
4. ორივე მხარეს მოვუწოდებ, ნუ გადაკვეთ ე.წ. წითელ ხაზს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ველარ გიშველით.
5. ეს როგორი ვარსკვლავებიჭუნა დაბადებია ნანას, ოქროსფერკულულებიანი.
6. რეპროდუქციას ძალიან უფრთხილდებოდა ცნობილი კოლექციონერი, რომლის ღირებულება დღითი დღე მატულობდა აუქციონებზე.
7. ნებისმიერი ქვეყანა უნდა ზრუნავდეს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.

11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში არ არის დარღვეული შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეწყობის წესი?

- ა) რძალ-მული და სიძე-სიდედრი ისევ აგრძელებდა კამათს;
- ბ) გაოგნებული დედ-მამა იქვე ჩამოჯდა;
- გ) რძალ-დედამთილი ჯიუტად უტევდნენ კარის მეზობელს;
- დ) და-ძმა დიდხანს დაეძებდა გამოსავალს.

12. ლიტერატურა – ლექსი, იგავი, ზღაპარი, მოთხრობა და სხვა – ხშირ შემთხვევაში, ფრინველებისა თუ ცხოველების ხასიათების მერწვისას ერთგვარ სტერეოტიპულ სახეებს ქმნის. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ცხოველი გვხვდება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში?

ა) მგელი

ბ) აფთარი

გ) მელა

დ) ვეფხვი

13. მოცემულ წინადადებებში გამოყენებულია რთული შედგენილობის ზმნები.

I. სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.

II. მეფევ, შენ ეს ხელგეწიფება და მოვალეც ხარ, ხალხისათვის გაისარჯო.

III. მე როდი ვუარყოფ ამ დებულებას, თუმცა მაინც ვითხოვ დამადასტურებელ საბუთებს.

რომელ მათგანშია დაცული პირის ნიშანთა ხმარების წესი?

ა) პირველსა და მეორეში;

ბ) მხოლოდ პირველში;

გ) მხოლოდ მესამეში;

დ) პირველსა და მესამეში.

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ხსნის უკეთ რიტორიკული შეკითხვის არსს?

რიტორიკული შეკითხვაა:

- ა) ის შეკითხვა, რომელსაც აუცილებლად მთავარი პერსონაჟი წარმოთქვამს სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად;
- ბ) ის შეკითხვა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს რომელიმე პერსონაჟისგან პასუხს;
- გ) ის შეკითხვა, რომელსაც პერსონაჟი ხმამაღლა ამბობს დიდი გრძნობის გამოსახატავად;
- დ) ის შეკითხვა, რომელიც პასუხს არ მოითხოვს, რადგან ასეთი ფორმა პასუხს თავად გულისხმობს.



15. წაკითხეთ ჯანი როდარის ზღაპარი „ია ჩრდილოეთ პოლუსზე“ და შეასრულეთ 15.1 – 15.5 დავალებები:

ჩრდილოეთ პოლუსის ყინულოვან უდაბნოში ერთხელ დილაადრიან გაიღვიძა დიდმა თეთრმა დათვმა. თვალები გაახილა თუ არა, ჰაერი შეიყნოსა და უცებ უცხო სუნი ეცა.

– ჰმ, – ჩაიბურტყუნა დათვმა და თავის ცოლს მიუბრუნდა, – ექსპედიცია ხომ არ ჩამოვიდა?

ამ დროს ბელებმა იქვე ლურჯთვალა ია იპოვეს. პაწაწინა იყო, მობუზული, საცოდავად კრთოდა, თუმცა სურნელებას მაინც ყოჩაღად აფრქვევდა გარშემო.

– დედა! მამა! – დაიძახეს ბელებმა.

– აკი გითხარით, ახლო-მახლო რაღაც უცნაური სულიერი გაჩნდა-მეთქი, – ისევ აბურტყუნდა მამა დათვი, – ოღონდ თევზი არ უნდა იყოს, მგონი.

– არა, ეგ არც თევზია და არც ფრინველი, – თქვა დედა დათვმა.

ქმარმაც კვერი დაუკრა, მართალი ხარ, ეგ არც თევზია და არც ფრინველიო.

სალამო ხანს იის ამბავი უკვე მთელმა პოლუსმა იცოდა. თვალუწვდენელ, უნაპირო ყინულებს მოევლინა პაწაწინა ლურჯთვალა არსება, რომელმაც საამური სურნელი მოჰფინა იმ არემარეს. თანაც, ერთადერთ ფეხზე იდგა, ქინძისთავივით წვრილ ფეხზე, და არ ეცემოდა.

საიდან აღარ დაიძრნენ ამ იის სანახავად. ციმბირიდან ირმებმა მოირბინეს, ამერიკიდან – ცხენირმებმა. მოცურდნენ სელაპები და ზღვის ლომები, მერე პოლარული თეთრი მელიებიც მოცუნცულდნენ. პირველები კი – აბა, სხვა ვინ დაასწრებდა – ენაჭარტალა კაჭკაჭები მოფრინდნენ. ყველას უკვირდა: ამ თვალუწყუნა ყვავილს აქ რა უნდა, რომელმა ქარმა გადმოაგდო და თან ჰაერს გამგელებულები ისუნთქავდნენ, ისე ეამათ იის ნაზი სურნელი. პირდაპირ საკვირველია – ყველაზე გვიან ვინც მოდიოდა, სურნელება იმასაც ადრე მოსულელებით ათრობდა და აბრუებდა. ჰაერში დღედაღამ საამური სუნი იდგა.

შეკითხვებზე გადასვლა: [15.1](#) [15.2](#) [15.3](#) [15.4](#) [15.5](#)

– ამისთანა გამოუღეველი რა გახდა! – თქვა სელაჰმა, – ეტყობა, ყინულქვეშ მარაგი აქვს.

– მეც ეგ არა ვთქვი? – დაიბუხუნა თეთრმა დათვმა, – უეჭველად რალაც ექნება!

არაფერი ამის მსგავსი თეთრ დათვს არ უთქვამს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოფრინდა ის თოლიაც, სამხრეთში რომ ჰყავდათ გაგზავნილი უცხო ყვავილის ამბის გასაგებად. თოლიამ სული მოითქვა და იქ მყოფთ ამცნო, ამ პაწაწინა სურნელოვან ყვავილს ია რქმევია, რამდენიც გინდათ, სამხრეთში იმდენიაო.

– კი, ბატონო, ია რქმევია, მაგრამ აქ, ამ ადგილას რანაირად გაჩნდა? პირდაპირ უნდა გითხრათ, განცვიფრებული ვარ!

– რაო, რა ვარო? – ჩურჩულით იკითხა თეთრმა დათვმა.

– განცვიფრებულიო, – ჩურჩულითვე უპასუხა ცოლმა, – გაცოფებული კი არა, განცვიფრებული არ გაგიგონია, ამოდენა დათვი ხარ?

– აჰაა! – ამოიღმუვლა თეთრმა დათვმა, – მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა.

იმ ღამეს პოლუსი საზარელმა ყინულობვრამ შეარყია. უზარმაზარ ყინულებს თხელ მინასავით გაჰქონდა ჭახაჭუხი. საწყალ იას იმედი აუფართხალდა გულში და მთელი თავისი სურნელება გათოშილ ჰაერს შეაღია, ერთი სული ჰქონდა – იქნებ როგორმე გავალხო ეს უნაპირო ყინულები და თბილ ლაჟვარდოვან ზღვად ანდა თვალუწვდენელ ზურმუხტოვან მდელოდ გადავაქციოო. მერე უცებ ჩამოჰკნა და ჩაქინდრა დამზრალი თავი.

გათენებისას ყველამ დაინახა – ია ღეროგაყინული ეგდო თოვლზე. შესაძლებელი რომ ყოფილიყო და სიკვდილის წინ სიტყვით გამოეხატა თავისი უკანასკნელი სათქმელი, იცი, რას იტყოდა საბრალო ია: ვიცი, ვკვდები, მაგრამ რა ვქნა?! მე თუ არა, ვიღაცას მაინც ხომ უნდა დაეწყო ამ ყინულების ღლობაო; აქაურობას ოდესმე, ალბათ, უამრავი ია დაამშვენებს და ამწვანებულ ველ-მინდვრებს პატარების ჟივილ-ხივილი მოეფინებაო.

შეკითხვებზე გადასვლა: [15.1](#) [15.2](#) [15.3](#) [15.4](#) [15.5](#)

15.1 დაასახელეთ, რომელია ამ ზღაპრის ყველაზე სახასიათო პერსონაჟი. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

15.2 ხშირად, ლიტერატურულ ნაწარმოებში ამა თუ იმ პასაჟზე ყურადღების გასამახვილებლად, განსაკუთრებული მოლოდინის შესაქმნელად ავტორები იყენებენ ბუნების მოვლენის შთამბეჭდავი სურათის აღწერას. მოძებნეთ ტექსტში წინადადება, რომელიც ამ მსჯელობის საილუსტრაციოდ გამოგვადგება. მიუთითეთ, როგორ განვითარდა სიუჟეტი ბუნების სურათის აღწერის შემდეგ – განიხილეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი განვითარების შედეგი.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

15.3 ქვემოთ დასახელებულია სიუჟეტის განვითარების ორი ეტაპი: კვანძის შეკვრა და კულმინაცია. თითოეულის გასწვრივ მიუთითეთ ამ ზღაპრის სიუჟეტიდან შესაბამისი ეპიზოდი.

კვანძის შეკვრა: -----

კულმინაცია: -----

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

15.4 აუხსენით მოსწავლეებს ამ ზღაპრის ძირითადი იდეა, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

15.5 მოცემულია მსჯელობა:

„ ... ლიტერატურა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ტექსტის გააზრების ნაირგვარობას განაპირობებს არა მხოლოდ მკითხველის ინდივიდუალური გამოცდილება თუ პოზიცია, არამედ ეპოქის კონტექსტი – დროის იმ მონაკვეთში არსებული გლობალური ტენდენციები, იმ ეპოქისთვის ნიშანდობლივი დამოკიდებულება სინამდვილისადმი.“

გაიაზრეთ ზემოაღნიშნული მსჯელობა და ახსენით, როგორ შეიძლება აღიქვას თანამედროვე მკითხველმა ამ ზღაპრის დასასრული, თუ დაუკავშირებს მას თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს და არ გაითვალისწინებს ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

16. წაიკითხეთ ნაწყვეტი შოთა ჩანტლაძის ლექსიდან „მანიფესტი“ და შეასრულეთ 16.1 – 16.3 დავალებები:

ბატონებო და ქალბატონებო,  
ეს გახლავთ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა,  
ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა  
გახლავთ ეს: პოეტები დაემზენ ოლიმპოდან.  
იმათთვის, ვინც წინ მიგვიძლოდა ჩვენ, პოეზია გახლდათ  
ფუფუნება;  
ჩვენთვის კი იგი - პური და წყალია.  
და წარმოუდგენელია ცხოვრება უმისოდ.  
პატივისცემით უნდა მოგახსენოთ -  
წინაპრებისგან განსხვავებით -  
ჩვენ მიგვაჩნია:

ალქიმიკოსი როდია პოეტი,  
იგიც სხვასავით ადამიანია,  
იგი კალატოზია სახლის მშენებელი,  
იგია მშენებელი, რომელიც კედელში  
ფართო კარებს და ფანჯარას ჰკვეთს.  
ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ ჩვენი დღეების უბრალო ენაზე,  
კაბალისტიკის არ გვწამს არაფერი.  
და კიდევ:  
დედამიწაზე იმისთვის არსებობს პოეტი, რათა ხე მრუდედ არ  
ამოიზარდოს არასოდეს.

16.1 ლექსის დასაწყისში ვკითხულობთ: „პოეტები დაემზენ ოლიმპოდან“. განმარტეთ, რას გულისხმობს პოეტი ამ მხატვრულ სახეში.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

16.2 შოთა ჩანტლაძის აზრით, პოეტი მშენებელია, „რომელიც კედელში ფართო კარებს და ფანჯარას ჰკვეთს“. ახსენით, რის თქმა სურს ამ მეტაფორული გამოთქმით ავტორს.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

16.3 იმსჯელეთ, რა ფუნქცია განუსაზღვრა ავტორმა პოეტს. ახსენით, რამ განაპირობა მისი პროტესტი და როგორ უკავშირდება მთავარი სათქმელი ლექსის სათაურს.

*(მაქსიმალური ქულა – 3)*

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

*ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.*

ფსიქოლოგი პოლ ბლუმი წიგნში „ემპათიის წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ ისეთმა დადებითმა ემოციამ, როგორც ემპათიაა, ბევრ სასიკეთოსთან ერთად, არასასურველი ქცევისა თუ გადაწყვეტილებებისკენ შეიძლება გვიბიძგოს. სიტყვა „ემპათიას“ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით ვიყენებთ. ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად ის მორალურობის, სიკეთის აღსანიშნავად გამოიყენება, ვიწრო მნიშვნელობით კი ის ნიშნავს, ვიგრძნოთ ის, რასაც გრძნობს სხვა. თუკი ჩვენი მორალი ეფუძნება ამგვარ ემპათიას, გვიჩნდება ჩვენი მსგავსის, „ჩვენიანის“ მეტად მხარდაჭერის სურვილი, ვიდრე ჩვენგან განსხვავებულის. ეს კი, თავის მხრივ, მიკერძოებულობას განაპირობებს, რაც მორალურობას ეწინააღმდეგება. ემპათია, გარკვეულწილად, გვაშორებს აზროვნებას და ირაციონალური გადაწყვეტილებებისკენ გვიბიძგებს. ემპათიის წყალობით შეიძლება 1 უფრო მეტს ნიშნავდეს ჩვენთვის, ვიდრე 100.

ადამიანის ბუნების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს სამყაროს დაყოფა „ჩვენიანებად“ და „სხვებად“. სწორედ ეს განაპირობებს ჩვენი მორალისთვის ნიშანდობლივ თავისებურებას - ვიზრუნოთ მათზე მეტად, ვინც გვიყვარს, ვინც ჩვენიანად მიგვაჩნია და იმავეს არ ვგრძნობდეთ და არ ვაკეთებდეთ სხვების მიმართ. ფსიქოლოგიური საზღვრის წაშლა ჩვენიანსა და უცხოს შორის არ არის მარტივი და რაციონალურ მსჯელობას მოითხოვს. ადამიანმა რომ იფიქროს, აფრიკაში ვიღაც უცნობის სიცოცხლე ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩემი მეგობრის სიცოცხლეო, ძალიან არაბუნებრივი იქნება, მაგრამ – სწორი. თუმცა, მორალს არ სჭირდება ზრუნვის და სიყვარულის გათანაბრება. ვერ შევძლებთ ვიზრუნოთ სხვა ადამიანებზე ისე, როგორც საყვარელ ადამიანებზე, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ შეკითხვების დასმა იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია ესა თუ ის ქცევა.

შეკითხვებზე გადასვლა: [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)



იელის უნივერსიტეტში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მიკერძობულობა უკვე ადრეულ ბავშვობაში ვლინდება. ექსპერიმენტში ბავშვებს რამდენიმე თოჯინა აჩვენეს და უთხრეს, რომ ყოველ თოჯინას საყვარელი საჭმელი ჰქონდა. მაგალითად, ერთ-ერთ თოჯინას ფაფა უყვარდა, მეორეს - შოკოლადი. წინასწარ იყო დადგენილი ბავშვების საყვარელი საჭმელიც. როგორც წესი, ეს შოკოლადი იყო. მკვლევრებს აინტერესებდათ, მოახდენდა თუ არა გავლენას ეს გარემოება ბავშვების დამოკიდებულებაზე თოჯინების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ბავშვები იმ თოჯინას ანიჭებენ უპირატესობას, რომელსაც მათნაირი გემოვნება აქვს. უფრო მეტიც, ექსპერიმენტის მომდევნო სერიაში ისინი იმ თოჯინას ანიჭებდნენ უპირატესობას, რომელიც სჯიდა მათგან განსხვავებული გემოვნების მქონე თოჯინას.

ემპათიის ამ სუსტი მხარის ცოდნა დაგვეხმარება, ფრთხილად, გააზრებულად მივიღოთ გადაწყვეტილებები, მხარი დავუჭიროთ მას, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. ჯანსაღი სკეპტიციზმის განვითარება ემპათიის „ხაფანგისგან“ თავის დაღწევაში გვეხმარება. ჩვენ მას თანავუგრძნობთ, მაგრამ სწორია კი ეს?! - ეს ის შეკითხვაა, რომელიც ხშირად უნდა დავუსვათ საკუთარ თავსაც და ბავშვსაც, რათა ხელი შევუშალოთ არასწორი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

შეკითხვებზე გადასვლა: [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)

17. წიგნის სათაურით – „ემპათიის წინააღმდეგ“ – ავტორი მიგვანიშნებს, რომ:

- ა) სიტყვა ემპათიას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს;
- ბ) ემპათია სამყაროს „ჩვენიანებად“ და „სხვებად“ დაყოფას უწყობს ხელს;
- გ) ემპათია, როგორც წესი, ირაციონალური გადაწყვეტილებებისკენ გვიბიძგებს;
- დ) ემპათია ცალსახად არ უნდა მივიჩნიოთ მორალური ქცევის საფუძვლად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

18. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შინაარსით ყველაზე ახლოს პირველ აბზაცში მოცემულ წინადადებასთან – „ემპათიის წყალობით შეიძლება 1 უფრო მეტს ნიშნავდეს ჩვენთვის, ვიდრე 100“ ?

ა) მორალს არ სჭირდება ზრუნვისა და სიყვარულის გათანაბრება;

ბ) ვერ შევძლებთ ვიზრუნოთ სხვა ადამიანებზე ისე, როგორც საყვარელ ადამიანებზე;

გ) აფრიკაში ვიღაც უცნობის სიცოცხლე ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩემი მეგობრის სიცოცხლე;

დ) ფსიქოლოგიური საზღვრის წაშლა ჩვენიანსა და უცხოს შორის არ არის მარტივი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ვარაუდს განამტკიცებს მესამე აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგი?

ა) ჯანსაღი სკეპტიციზმი ბავშვებს ადრეულ ასაკში უყალიბდებათ;

ბ) მორალური ქცევის ჩადენის ტენდენცია ადრეულ ბავშვობაში ვლინდება;

გ) ბავშვები უკვე ადრეულ ასაკში ყოფენ სამყაროს „ჩვენთანებად“ და „სხვებად“;

დ) ბავშვებს უკვე ადრეულ ასაკში შეუძლიათ ზრუნვა როგორც „თავისთანებზე“, ასევე „სხვებზე“.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ემპათიის „ხაფანგის“ გავლენით მიღებული შედეგი?

ა) ეჭვის შეტანა მიღებულ გადაწყვეტილებაში;

ბ) ფსიქოლოგიური საზღვრის წაშლა „ჩვენთანსა“ და „უცხოს“ შორის;

გ) ზოგჯერ ადამიანის არაგონივრული ქცევისა თუ ემოციის მხარდაჭერა;

დ) ადამიანების მიმართ არაბუნებრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

21. რომელ შეკითხვას შეგვიძლია გავცეთ პასუხი მოცემული ტექსტის მიხედვით?

- ა) რა ფაქტორებმა განაპირობა სიტყვა ემპათიის სხვადასხვაგვარი მნიშვნელობის ჩამოყალიბება?
- ბ) რატომ არის მნიშვნელოვანი, გადაწყვეტილების მიღებისას გავითვალისწინოთ ემპათიის სუსტი მხარე?
- გ) რა ასაკში იწყებს ბავშვი საკუთარი ქცევის სამართლიანობის შესახებ შეკითხვების დასმას?
- დ) რა თავისებურებებით ხასიათდება ბავშვებში ჯანსაღი სკეპტიციზმის ჩამოყალიბების პროცესი?

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

## 22. ანალიტიკური წერა

მოსწავლეების დიალოგი სოციალური ქსელიდან:

– „ქართული პოეზიის მწვერვალი რუსთაველი, დიდი ილია, პოეზიის უგვირგვინო მეფე – აკაკი! აუ, დავიღალე რა ყოველდღე ამის მოსმენით...“

– აუ, ხოო... რა მეფე, რა მწვერვალი?! ჩვენი ქართულის მასწავლებელიც ეგრე გვიხსნის ხოლმე ლექსებს, მაგრად მომბეზრდა...“

ნაწყვეტი სტატიიდან:

„სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლის უმთავრესი ვალდებულებაა, არა მხოლოდ მზა ფორმულები მიაწოდოს მოსწავლეებს, არამედ დაანახოს ამ ფორმულებამდე მისასვლელი გზა; ზოგადად, სამყაროს შესამეცნებლად უაპელაციო, აქსიომური მიდგომა იმთავითვე კრახისტვისაა განწირული.“

გაიაზრეთ მოსწავლეების დიალოგი, ნაწყვეტი სტატიიდან და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში;
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში;
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად. განაზოგადეთ სათქმელი.

*მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

*(მაქსიმალური ქულა 9)*